# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 158

„14" ნოემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**შპს „ლიზინგი XXI"-სა და ქ. თბილისის მთავრობას შორის გაფორმებული „უძრავი ქონების გადახდის განვადებით ნასყიდობის შესახებ (პირდაპირი მიყიდვის ფორმით)" 2008 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 75-ე მუხლის „დ.ზ" პუნქტის საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას შპს „ლიზინგი XXI"-ს და ქ. თბილისის მთავრობას შორის გაფორმებული „უძრავი ქონების გადახდის განვადებით ნასყიდობის შესახებ (პირდაპირი მიყიდვის ფორმით)" 2008 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების „გ" პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების - 2700 კვ.მ ფართის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემისგან, გათავისუფლებაზე იმ პირობით, რომ შპს „ლიზინგი XXI" გადაიხდის თანხას ზემოაღნიშნული ფართის საბაზრო ღირებულების (2014 წლის 17 ოქტომბრის მდგომარეობით) შესაბამისად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე      გიორგი ალიბეგაშვილი